# ხელშეკრულება შრომითი ურთიერთობის შესახებ N-16

დაბა ლენტეხი 30 მაისი 2024 წელი

ერთი მხრივ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო (ს.კ. 234065560), წარმოდგენილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის – გიორგი გაზდელიანის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ხათუნა ონიანიპ.ნ. 27001000166-------(შემდგომში „დასაქმებული") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი დასაქმებულს ასაქმებს **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში , პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე –შტატგარეშე მოსამსახურის** პოზიციაზე.

1.2. დასაქმებული თანხმობას აცხადებს შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

1.3. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ასრულებს შემდეგი სახის სამუშაოს:

1.3.1. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის , მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ , დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის , დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირება, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევა:

1.3.2. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი;

1.3.3. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

1.3.4. სამსახურისაგან კონსულტაციების მიღება , დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობა სამსახურთან ურთიერთობაში , სამსახურის მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენა და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

1.3.5. მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში , მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

1.3.6. დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულება;

1.4. დამსაქმებელი უხდის დასაქმებულს შესრულებული სამუშაოს საფასურს - დასაბეგრ ხელფასს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, ყოველთვიურად.

1.5. შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2024 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე**

დამსაქმებელი

დასაქმებული

ხ. ონია...